ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

მასწავლებლის პროფესიული ეთიკის როლი მოსწავლეთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში

ლელა მანგოშვილი
სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებზე ორიენტირებული საერო სკოლა ,,ბინულის''
ქართული ენის მასწავლებელი (I-VI)

რეზიუმე
სტატია მიზნად ისახავს ამ კუთხით პრობლემების ანალიზის, გადაჭრის და მოგვარების გზების ძიებას. მასში ასახულია პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის გამოჩენილ მოღვაწეთა დ.უზნაძის, ა.მასლოუს, კ.როჯერსის, ჯ.ბრუნერის და სხვათა თეზისები. ასევე მასწავლებელთა პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შესწავლილი სიტუაციები. გამოკვეთილია მასწავლებლის პროფესიულ ეთიკაში არსებული პრობლემები: მასწავლებლის ზედმეტი სიმკაცრე, მოსწავლეთა ცუდი ქცევა, რომელიც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით, ღირებულებათა კონფლიქტი, გადაჭარბებული სიმორცხვე, მშობლებთან არაეფექტური კომუნიკაცია, მასწავლებლის მიერ გაკეთებული უშედეგო კომენტარები.
პრობლემების გადაჭრის გზებში გამოკვეთილია მასწავლებლის პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა: ემპათია, თავდაჭერილობა, სამართლიანობა, გახსნილობა, კეთილგანწყობა და მისი უდიდესი როლი - პირადი მაგალითი მოსწავლეთა დადებით პიროვნებებად ჩამოყალიბების პროცესში. ასევე მჭიდრო და ეფექტური კომუნიკაცია მშობლებთან, სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა ისეთი გარემოთი, სადაც მოსწავლეებისადმი არაგანსჯითი და პოზიტიური დმოკიდებულებაა, მათ შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ შეხვედრებსა და დისკუსიებში, რომელთა დროს ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას, მასწავლებელი ხელს უწყობს თანამშრომლობით სწავლებას, მოსწავლეებს აძლევს თავისუფლებას, თვითონ გააკეთონ „აღმოჩენები".
სტატიაში ასახულია აღნიშნული პრობლემების მოგვარებით მიღწეული შედეგი.

საკვანძო სიტყვები: მასწავლებელი, პროფესიული ეთიკა, მშობელი, მოსწავლე.

ერთხელ პირველკლასელი მოსწავლის მშობელმა ბოდიშის მოხდით მთხოვა, მეჩვენებინა, როგორ ვკეცავდი ცხვირსახოცს (?!) დავიბენი, მაგრამ მაშინვე ამოვიღე წიგნაკიდან შუაზე გაკეცილი ცხვირსახოცი და ყოველივე ცხადი გახდა: თურმე ბორისი დაჟინებით სთხოვდა დედას, ცხვირსახოცი ისე დაკეცა, როგორც ლელა მასწავლებელს აქვს, და ,,ბლოკნოტის'' ბოლო გვერდში ჩაედო...

გამეღიმა...ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რა დიდი ძალა აქვს მასწავლებლის პირად მაგალითს და რაოდენ სიფრთხილე გვმართებს მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს!!! მასწავლებელი მოსწავლისთვის მიბაძვის საგანს წარმოადგენს. ბავშვი ყოველდღიურად რამდენიმე საათი მასწავლებელთა გარემოცვაშია, ამიტომ ის მათგან მარტო იმას კი არ სწავლობს, რასაც ასწავლიან, არამედ ხშირად იღებს მათ ქცევებსაც. ნებისმიერ შემთხვევაში თითოეულმა მასწავლებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ არა

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

მარტო მიზანმიმართული აღმზრდელობითი ქმედება, არამედ ნებისმიერი საქციელი დადებითად ან უარყოფითად მოქმედებს მოსწავლეზე. მასწავლებელს არ აქვს მორალური უფლება, ცუდი მაგალითი მისცეს აღსაზრდელს.

ყოველ ადამიანში არის თანდაყოლილი სწრაფვა თვითაქტუალიზაციისაკენ. ეს არის უმაღლესი ადამიანური მოთხოვნილება. ადამიანები მოტივირებულნი არიან არსებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებით მიაღწიონ პირად მიზნებს. ეს პროცესი ადამიანის ცხოვრებას მნიშვნელოვანსა და გააზრებულს ხდის.

როგორ დავეხმაროთ ბავშვებს პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებაში?

გავიხსენოთ მასლოუს ცნობილი პირამიდა: ადამიანის სოციალურ მოთხოვნილებას განსაზღვრავს სიყვარულის და მიკუთვნებულობის მოთხოვნილება. სკოლაში ამ უნარების სწორად განვითარების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მასწავლებლის პიროვნული მახასიათებლები, როგორიცაა: ემპათია, თავდაჭერილობა, სამართლიანობა, გახსნილობა, კეთილგანწყობა.. თუ მასწავლებელი ქმნის ისეთ საკლასო გარემოს, სადაც მოსწავლეებისამი არაგანსჯითი და პოზიტიური დმოკიდებულებაა, კერძოდ,

- უსმენს მოსწავლეებს, გამოხატავს მხარდაჭერას;
- ამჟღავნებს მოსწავლეების აზრებისა და შეხედულებებისადმი პატივისცემას, ასევე მათ მიმართ ნდობას;
- სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია ისეთი გარემოთი, სადაც მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ მონაწილეობა მიიღონ მოსწავლეთა შეხვედრებსა და დისკუსიებში, რომელთა დროს მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას, ეხმარებიან და ერთმანეთისადმი ნდობასა და მხარდაჭერას ამჟღავნებენ;
- აქცენტს აკეთებს მოსწავლის ღირსებებსა და ძლიერ მხარეებზე;
- მოსწავლეებისთვის ყოველთვის ხელმისაწვდომია – საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეები მასწავლებელს დახმარებისთვის თავისუფლად მიმართავენ;
- როდესაც საჭიროა მოსწავლისთვის წესრიგისკენ მითითება, მასწავლებელი ამას შეძლებისდაგვარად ინდივიდუალურად (არასაჯაროდ) აკეთებს;
- ხელს უწყობს თანამშრომლობით სწავლებას, სადაც მოსწავლეები გუნდურ მუშაობას სწავლობენ და ერთმანეთის მიმართ მეტ ნდობას ამჟღავებენ;
- მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს თავისუფლებას, თვითონ გააკეთონ „აღმოჩენები";
- მოსწავლეებს ისეთ შემოქმედებით აქტივობებში რთავს, სადაც მათ თვითგამოხატვის საშუალება ეძლევათ და ა.შ.

მაშინ მოსწავლეებში ვითარდება კლასთან ერთობის, მიკუთვნებულობის გრძნობა, თვითპატივისცემა, დამოუკიდებლად ან ჯგუფთან ერთად გადაწყვეტილებების მიღების უნარი, ემპათიის (თანაგანცდის) გრძნობა, სტრესისა და შფოთვის დაძლევის უნარი, პრობლემების ძალადობის გარეშე მოგვარება – ასერტულობა, ბალანსი პიროვნულ თავისუფლებასა და ჯგუფში მჭიდრო ურთიერთობებს შორის, თანამშრომლობითი სწავლება.

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

ცნობილია, რომ გარკვეულ შემთხვევებში მასწავლებლის მხრიდან ზედმეტი სიმკაცრე და დირექტიული დამოკიდებულება დადებით შედეგს სწრაფად იძლევა – მოსწავლე წყვეტს არასასურველ, არასწორ ქმედებას. ამავე დროს, სიმკაცრეს უარყოფითი მხარეებიც ახლავს.

- მოსწავლეებში იმატებს შფოთვის დონე და აგრესიული ფონი, რაც ხელს უშლის მას თვითგამოხატვაში, და საკუთარი შესაძლებლობების განვითარებაში,
- იწვევს დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას,
- ასეთი დამოკიდებულება მოსწავლეს ხელს უშლის კლასთან ადაპტაციაში,
- აფერხებს მის პიროვნულ განვითარებას,
- მოსწავლეს უყალიბდება მასწავლებლის, სკოლის და სწავლის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება , რაც თავისთავად უარყოფითად აისახება სასწავლო პროცესზე.

რატომ იქცევიან მოსწავლეები ცუდად?

- ხშირად მოსწავლის ასეთი ქცევა განპირობებულია სხვათა ყურადღების მიპყრობის სურვილით,
- მასწავლებლის ხშირი რეაგირებისას მთელი კლასის ყურადღება პრობლემურ ქცევაზე გადადის, რაც აბრკოლებს გაკვეთილის ნორმალურ მიმდინარეობას,
- მასწავლებლის ასეთი ქმედება არა მარტო ამ ბავშვში ამტკიცებს უარყოფით ქცევას, არამედ შესაძლებელია სხვებმაც მიბაძონ თანაკლასელს,
- მოსწავლეს სურს ყურადღების ცენტრში ყოფნა და რადგან კარგი საქციელით ვერ ახერხებს ამას სურს ცუდი საქციელით მიაღწიოს მასწავლებლის და თანატოლების ყურადღებას,
- ზოგი მოსწავლე ცდილობს აკადემიურ სამუშაოს ან გაკვეთილის არცოდნის გამჟღავნებას აარიდოს თავი და ამიტომ იქცევა ცუდად,
- მასწავლებელმა მკაფიოდ არ განუსაზღვრა, როგორი უნდა იყოს მათი ქცევა, არ იციან რას მოელიან მათგან,
- მოსწავლეს ყურადღების დეფიციტი აქვს და უნებლიედ იქცევა ცუდად, შეიძლება საერთოდ ვერ აცნობიერებდეს ამას,
- მოსწავლეს ძალაუფლების მოპოვება სურს, ფიქრობს ამას მასწავლებელთან შეწინააღმდეგებისას მიაღწევს.

როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი?

1. თუ ყურადღების მიქცევა სურს მოსწავლეს, მაშინ ვეცადოთ, იგნორირება გავაკეთოთ. რაც მეტად მივაქცევთ ყურადღებას, მოსწავლე თავის მიზანს მიღწეულად ჩათვლის და სავარაუდოდ მისი ქცევა თუ არ გაუარესდება, არ გაუმჯობესდება.
2. ყურადღება მივაქციოთ მოსწავლის კარგ საქციელს და არა ცუდს. ვაჩვენოთ, რომ თუკი მას ყურადღების მიპყრობა სურს, ამას კარგი ქცევით დაიმსახურებს. როცა მოსწავლე წესების დაცვით მოიქცევა, შევაქოთ და აღვნიშნოთ მისი კარგი საქციელი.

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

3. თუ მოსწავლე ყურადღების მიქცევის გამო არ ავლენს ცუდ ქცევას და უბრალოდ ვერ აცნობიერებს რომ ცუდად იქცევა, ამ შემთხვევაში იგნორირება გაუმართლებელია, მასწავლებელი უნდა დაეხმაროს იმის გაცნობიერებაში, რომ ცუდად იქცევა.
4. თუ მოსწავლე ცდილობს მასწავლებელთან კამათით მოსწავლეების თვალში ძალაუფლების მოპოვებას, მასწავლებელი უნდა ეცადოს არ აყვეს მოსწავლეს და არ ჩაებას კამათში.მისი კომენტარები პირად შეურაცხყოფად არ მივიღოთ. არ ვაჩვენოთ მოსწავლეს, რომ ემოციებს ავყევით.

ზოგადად, სასურველია, ცუდი ქცევისას მოსწავლეს დიდი ყურადღება არ დავუთმოთ, მოკლედ და სწრაფად ავუხსნათ, რაში მდგომარეობს მისი ცუდი ქცევა და რა შედეგი შეიძლება მოყვეს მას. ნურასდროს ჩავებმებით მოსწავლესთან სიტყვიერ პაექრობაში.

ერთ ჩემს ნაცნობ კოლეგას გაკვეთილზე მოსწავლე ხშირად უშლიდა ხელს . ხმაურობდა, ელაპარაკებოდა თანაკლასელებს და უადგილოდ ხუმრობდა. მოსწავლის ქცევის კორექციის მიზნით მასწავლებელი ხშირად აძლევდა შენიშვნას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს, მოსწავლეს საკლასო ოთახის დატოვება მოსთხოვა. რატომ მოხდა ასე? რა შეცდომა დაუშვა მასწავლებელმა? მან ხშირი შენიშვნით მოსწავლეში განამტკიცა უარყოფითი ქცევა. მოსწავლემ თავი დააღწია მისთვის არასასურველ გაკვეთილს და დარჩენილი დრო კმაყოფილმა გაატარა. ვფიქრობ, უმჯობესი იქნებოდა, მასწავლებელს შეუმჩნევლად (არავერბალურად) ენიშნებინა მოსწავლისთვის და ჩაერთო ისეთ აქტივობებში, სადაც ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებოდა და მას დაუკმაყოფილებდა ამბიციას.

მოვერიდოთ მოსწავლის შეფასებას, შევაფასოთ ქცევა!

არასწორია, როცა ასე მივმართავთ მოსწავლეს: ,,-რატი, შენ ცუდი ბიჭი ხარ! '', რადგან ჩვენ უნდა შევაფასოთ მისი ქმედება. ამიტომ უმჯობესია ასე მივმართოთ: ,,- რატი, კარგი ბიჭი ხარ, მაგრამ ვერ მოგიწონებ საქციელს, როცა ვხედავ, როგორ აწვალებ ბავშვებს!''

ასევე, უნდა მოვერიდოთ ,,გაბრაზებულ გულზე'' **უშედეგო კომენტარის** გაკეთებას**:**

,,აზრი გაუგებარია. გრამატიკულად გამართე წინადადება".

,,ყურადღება მიაქციეთ პუნქტუაციას, განსაკუთრებით მძიმეებს!"

,,არასწორ სიტყვებს იყენებ და ისინი ვერ გამოხატავენ ზუსტად იმას, რისი თქმაც გინდა!"

ჩემი გამოცდილებით, ბევრად უკეთეს შედეგს იძლევა ასეთი კომენტარი:,,ანა, ჩემო კარგო, მომწონს შენი მონდომება და პასუხისმგებლობა, რადგან ყველა კითხვას გაეცი პასუხი, ასევე მომწონს შენი აზრები. თუმცა, უმჯობესი იქნება, თუ სასვენ ნიშნებსაც სათანადო ყურადღებას მიაქცევ! '' ამის შემდეგ მე თვითონ ვწერ წინადადებას და სწორი ფორმით ვსვამ სასვენ ნიშნებს.

ქცევის გაქრობა

არის შემთხვევები, მოსწავლე სვამს შეკითხვებს, რომლებიც გაკვეთილს არ უკავშირდება. მაგ: ,,-როდის წავალთ თეატრში?''- თუ მასწავლებელი ამ ტიპის კითხვებს

ISSN 1512-1801

ყურადღებას მიაქცევს, ეს ქცევა უფრო განმტკიცდება და მოსწავლე განაგრძობს მსგავსი კითხვების დასმას. თუნდაც უბრალო კომენტარი მასწავლებლის მხრიდან,,ახლა ამის დრო არ არის" შეინარჩუნებს ამ ქცევას.

ზოგადად, ქცევის წესების დარღვევა და დისციპლინის პრობლემები ნაკლებად მოსალოდნელია კლასში, სადაც საქმიანი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ატმოსფეროა შექმნილი. მასწავლებელმა მოსწავლეებს მუდმივად უნდა აჩვენოს პირადი მაგალითი; წესს, რომელსაც მასწავლებელი ემორჩილება, მის დაცვას სამართლიანად და აუცილებლად მიიჩნევს მოსწავლეც. წესების შემუშავებაში მოსწავლეები აუცილებლად უნდა მონაწილეობდნენ, ამ დროს იზრდება მოსწავლეთა პასუხისმგებლობა წესების შესრულების პროცესში; სასურველია წესების რაოდენობა არ აღემატებოდეს 4-6, რადგან მარტივია დასამახსოვრებლად და შესრულების მიღწევის შესაძლებლობა რეალურია; წესები უნდა ჩამოყალიბდეს პოზიტიური ფორმით, რადგან ამ დროს იზრდება მოსწავლის დადებითი განწყობა;

როგორ მოვიქცეთ, როცა კლასში ღირებულებათა კონფლიქტია? რა ქმნის ღირებულებათა კონფლიქტს?

- ამ კონფლიქტის წარმოშობა განპირობებულია მოსწავლეთა შორის განსხვავებული ფასეულობებისა და განსხვავებული მიზნების არსებობით.
- მოსწავლეებს არა აქვთ სოციალური უნარ-ჩვევები და ამიტომ ვერ ახერხებენ, ააგონ და შეინარჩუნონ პოზიტიური ურთიერთობები სხვა ადამიანებთან.
- არ იციან, როგორ დაუმეგობრდნენ თანატოლს,
- რა მისაღები ფორმით მიიპყრონ მასწავლებლის ან სხვა უფროსის ყურადღება.
- როგორ გამოხატონ თავიანთი ემოცია.
- როგორ მოახდინონ თვითდამკვიდრება ახალ სოციოკულტურულ გარემოში.

კლასში ახალი მოსწავლე მოვიდა. მოსწავლეთა ურთიერთობის საფუძველი სიყვარული და ურთიერთპატივისცემა იყო. დიტომ მაშინვე მიიპყრო ყურადღება ენერგიულობით,, მოუსვენრობით და ცელქობით. მაგრამ პრობლემას სრულიად სხვა რამ ქმნიდა, როცა აღმოვაჩინეთ მისი აგრესიული დამოკიდებულება ყველას და ყველაფრის მიმართ, რითიც ახერხებდა ყურადღების მიპყრობას. მასწავლებლებსა და მოსწავლეთა შორის დიტოს კონფლიქტი გარდაუვალი იყო. მასწავლებლებმა კლასის დამრიგებელთან და მშობელთან ერთად შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა: მშობელს ვურჩიეთ, არ გადაეყვანა ბავშვი სხვა სკოლაში, რადგან თუ ასეთ თბილ გარემოში ვერ მოხდებოდაა მისი ინტეგრაცია, ვაჟს აგრესიული ფონი უფრო გაუმწვავდებოდა და უფრო ძნელი იქნებოდაა შემდეგ მისი რეაბილიტაცია. საბედნიეროდ, შედგა მშობელსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობა- ერთად გავაანალიზეთ შექმნილი მდგომარეობა და დავგეგმეთ პრობლემის გადაჭრის გზები. მოსწავლეებს ვთხოვეთ გამოეჩინათ მაქსიმალური მოთმინება და ხელი შეეწყოთ დირტოს კლასში ინტეგრაციისთვის.მოვახდინეთ კლასის წინაშე მისი საუკეთესო კუთხით პრეზენტაცია, გამოვყავით მისი ძლიერი მხარეები და პოზიტიური პიროვნული თვისებები: სიკეთე, ვაჟკაცური ბუნება, მონდომება და ა.შ. გამოვიყენეთ თანამშრობლობითი სწავლება, ჯგუფური აქტივობები. ჯგუფურ აქტივობებში დიტოს მივეცით ისეთი ფუნქცია, რომ ყველამ დაინახა მისი საჭიროება.

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

ხშირად მოსწავლის პიროვნული და სოციალური უნარების განვითარებას ხელს უშლის გადაჭარბებული სიმორცხვე .

სალომეს სიმორცხვე აფერხებდა ბავშვის სოციალურ განვითარებას, ხელს უშლიდა სოციუმთან ადაპტაციაში. ამიტომ დიდი სიფრთხილით შევიმუშავე მასთან მუშაობის სტრატეგია. სტრესული სიტუაციის ასარიდებლად დავსვი მეგობრულ ბავშვთან. დავაკისრე ისეთი ფუნქციები, რომელიც თანაკლასელებისგან გარკვეული ინფორმაციის მიღებას ან მათთვის გადაცემას მოითხოვდა. ხშირი შექებით აქცენტს ვაკეთებდი მის ღირსებებსა და ძლიერ მხარეებზე. ამაღლდა მოსწავლის თვითშეფასება, ეს დაეხმარა სალომეს კომუნიკაციური და სოციალიზაციის უნარების განვითარებაში.

დღეს განსაკუთრებით აქტუალურია **მშობლების ჩართულობა** სასწავლო პროცესში, რაც თავისთავად ხელს უწყობს მოსწავლეთა პიროვნულ და სოციალურ განვითარებას, მათ წარმატებებს. მასწავლებელი განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდოს მშობელთან ურთიერთობას.

აუცილებლად დავიცვათ მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის პრინციპები:

- მშობელს თბილად შევხვდეთ.
- ვაგრძნობინოთ ასერტულობა.
- მოვუსმინეთ ყურადღებით.
- შევინარჩუნოთ სიმშვიდე და წონასწორობა.
- ერთად ვიფიქროთ პრობლემის მოგვარებაზე.

წერილობითი კომუნიკაციის დროს:

- გონებაში, წინასწარ ჩამოვაყალიბოთ რისი დაწერა გვსურს;
- თავიდანვე დავაკონკრეტოთ კომუნიკაციის მიზანი;
- წარმოვადგინოთ მთელი საჭირო ინფორმაცია. მიმოვიხილოთ ყველაფერი, მაგრამ თავი ავარიდოთ ზედმეტი ინფორმაციის გამოყენებას.
- გამოვიყენოთ მარტივი, გასაგები სიტყვები და მოკლე წინადადებები;
- დასრულების შემდეგ დაწერილი ყურადღებით წავიკითხოთ და შევასწოროთ;
- ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ არ გაგვეპაროს მექანიკური შეცდომები და სიტყვების მართლწერა იყოს სწორი.

რა შედეგზე უნდა გავიდეთ?

მოსწავლეებმა უნდა შეძლონ ყველაზე მნიშვნელოვანი: ურთიერთთანამშრომლობა, კომპრომისზე წასვლა, სოციალიზაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება, შეცდომის შიშის დაძლევა, დამოუკიდებელი აზროვნება, გამოიყენონ კომუნიკაციის ეფექტური გზები, შეაფასონ საკუთარი უნარები, შესაძლებლობები და ინტერესები, დაისახონ შესაბამისი მიზნები, გარდაქმნან ისინი გონივრულ გადაწყვეტილებებად, თანმიმდევრულად განახორციელონ მიღებული გადაწყვეტილებები და მოახდინონ ეფექტური თვითგამოვლენა.

დასასრულ, მინდა აღვნიშნო, რომ ამ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს საკუთარი როლი მოზარდთა პიროვნული და სოციალური უნარების განვითარების რთულ პროცესში და

ISSN 1512-1801
Teachers' first conference "University and School - essential to each other", 29-30 November 2013.
Materials

ახსოვს, პირადი მაგალითით როგორ უნდა გახდეს მოსწავლეთა წარმატებული მომავლის გარანტი!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია / დ. უზნაძე; [სარედ. კოლ.: შოთა ნადირაშვილი, იათამზე კოტეტიშვილი]; საქ. სსრ მეცნ. აკად., დ. უზნაძის სახ. ფსიქოლ. ინ-ტი. - თბ. 2005.
2. განვითარების თეორიები მასწავლებლისათვის: დამხმ. სახელმძღვ. / გიორგი ლაცაბიძე; [რედ. კახა დავითური]. - [თბ. : ,,ნეკერი''] 2008.
3. ბავშვის სამყარო: ფსიქოლოგის რჩევები მშობლებს: [სტატიები] /ჯანა კახიანი [რედ. მარინა ჯაფარიძე; ფოტ. გიზო ვარდოსანიძე]. - [თბ.]: შემეცნება, 2007.
4. კლასის მართვა: კვლევებზე დაყრდნობით შემუშავებული მეთოდები მასწავლებლებისთვის რობერტ ჯ.მარზანო; [რედ.ნათია ნაცვლიშვილი] -[თბ. ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი''], 2009.
5. პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი -პრაქტიკული გზამკვლევი პროფესიული წარმატებისთვის /ჯეკი თერნბული/ [რედ.ნათია ნაცვლიშვილი]- [თბ. ,,მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი''], 2009.
6. პედაგოგიკის საკითხები-მანანა ბოჭორიშვილი, თამარ მოსიაშვილი- [თბ. ,,უსტარი''] 2013 წელი.